გამარჯვება არც ისე იოლია

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 16 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “ზარია” (ლუგანსკი) 2:0 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი (ლ. ნოდია), მეტრეველი, სიჭიანვა, გავაშელი.

“ზარია”: ტკაჩენკო, შულჟენკო, რაშჩუპკინი, დეგტიარევი, შკლიარი, გალუსტოვი, ბალაბა, ანანჩენკო (სატაევი), სტრელცოვი (სერგეევი), შაკუნი, რაზდაევი.

მსაჯი ნ. ხაჩატუროვი (მოსკოვის ოლქი).

დინამოელთა განვლილმა მატჩმა “ზარიასთან” ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ უმაღლეს ლიგაში აღარ არიან სუსტი მოწინააღმდეგეები, უფრო სწორად, რომც საგრძნობლად ძლიერი იყოს ერთი გუნდი მეორეზე თავისი საერთო კლასით, მოგება მას იოლად არ მიეცემა ხელთ. 2 ქულის აღებას, როგორც წესი, ძალების სრული მობილიზება სჭირდება. თანამედროვე ტაქტიკამ თავისი მრავალრიცხოვანი “ბეტონებით” და “ზებეტონებით” ასწავლა სუსტებს რაციონალური თამაშის ხერხები, ასწავლა, თუ როგორ უნდა მინიმალური დანაკარგით ბრძოლა.

ასე იყო ლუგანსკელებთან მატჩშიც: მთელ თამაშში “ზარია” სულ რამდენიმეჯერ გადავიდა კონტრშეტევაზე, მაგრამ როგორც უნდა წარმართულიყო მისი იერიში, გუნდი უკანა ხაზში ტოვებდა ერთით მეტ დამზღვევ მცველს, ვიდრე იქ “დინამოს” თავდამსხმელი იყო. ეს “ზაირას” წესად საკუთარი შეტევისას აქვს, ხოლო, როცა ბურთი მისი კარის მიმართულებით მოძრაობს, მცველთა რიცხვი წარმოუდგენელი პროგრესიით იზრდება. 6, 7, 8 მცველი “ზარიას” საჯარიმო მოედანზე ჩვეულებრივი მოვლენაა.

რა თქმა უნდა, ძნელია დაცვის ასეთი მასირებული რიგების დაძლევა და სწორედ ამიტომ მით უფრო მეტი აქტიურობის, ვრცელი მანევრის გამოვლენა მართებს თითოეულ თავდამსხმელს, რომელიც მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე გამოჩნდება. აქ კი სასაყვედურო გვაქვს გავაშელის მიმართ, რომელიც დასაწყისში ინერტულობას იჩენდა და თავს არიდებდა უშუალო ბრძოლას “ზარიას” მცველებთან. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა გამოეჩინა გავაშელს თავისი სრული უნარი, რომ ლუგანსკელთა კართან წამსვე გოლის საშიშროება შექმნილიყო. ასევე მოხდა 33-ე წუთზეც. კოტრიკაძემ კარიდან მოაწოდა ბურთი და ეს მოწოდება გამოდგა კომბინაციის დასაწყისი. ბურთი მიიღო ასათიანმა, სწრაფად გადასცა წინ გავაშელს და ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა იმოქმედა ისე, როგორც ეს საჭირო იყო: წამის დაუკარგავად, მაშინვე გავიდა ორ სტოპერს შორის და ზუსტად დაარტყა დაბალ კუთხეში - 1:0.

საკმაოდ ძნელი გამოდგა მეორე ტაიმის დასაწყისი. “ზარიას” გაძლიერებული ძალები საგრძნობ წინააღმდეგობას უქმნიდნენ დინამოელებს მინდვრის შუაგულში. თბილისელები რატომღაც შეჯგუფდნენ, მოკლე გადაცემებზე და ბურთის ტარებაზე გადავიდნენ, რაც სტუმრებს აძლევდა ხელს. ამ დაძაბულ ვითარებაში თავისი სიტყვა თქვა მეტრეველმა. “ზარიას” კართან წარმოებული შეტევისას 58-ე წუთზე მან მოულოდნელი დარტყმით, მოტრიალებით გაგზავნა ბურთი კარის მაღალ კუთხეში. მეტრეველმა ეს გააკეთა ისე ოსტატურად, რომ მეკარე უძლური იყო გოლისგან ეხსნა კარი.

დანარჩენ დროში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა მინდორზე. ლუგანსკელები შეურიგდნენ გარდუვალ მარცხს, ხოლო თბილისელები დასჯერდნენ ორ “მშრალ” ბურთს.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 18 მაისი, 1968 წ.